საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1109

თბილისი „02“ 09 2019 წ.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 აგვისტოს N401 დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 23 აგვისტოს N1084464 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო

სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი N1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრს ბატონ **მიხეილ ბატიაშვილს**

მოქალაქე .....
(გვარი, სახელი)
პირადი ნომერი .....

მისამართი: .....

ტელეფონი: .....
(მობილური, სახლის)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

.....
(მიუთითეთ რომელი წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხეთ)
.....
.....
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა)

მივეკუთვნები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 აგვისტოს №401 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას/კატეგორიებს: .....
.....
.....
(მიუთითეთ კატეგორია/კატეგორიები)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით.

განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
.....
.....
.....
.....

დანართი: ..... ფურცელი.

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემს პასუხისმგებლობას. თანახმა ვარ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა ..... განცხადების შევსების თარიღი.....

დანართი N2

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებათა ნუსხით გათვალისწინებულ დასახლებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

1.1. განცხადება;

1.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

1.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ან სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

2.1. განცხადება;

2.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

2.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ, სწავლების ენის მითითებით.

3. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

3.1. განცხადება;

3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

3.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3.4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ, ან ცნობა 2008 წლის 7 აგვისტომდე შესაბამის სკოლაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ.

4. სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

4.1. განცხადება;

4.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

4.3. დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

4.4. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ასლები;

4.5. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი;

ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტი არის 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილი;

ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი ან მისი შვილი;

ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ.

5. სტუდენტებმა, რომლებიც არიან ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა შთამომავლები და მოპოვებული აქვთ რეპატრიანტის სტატუსი, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

5.1. განცხადება;

5.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

5.3. ცნობა რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ გაცემული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

6. სტუდენტებმა, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

6.1. განცხადება;

6.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

6.3. დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

6.4. დედ-მამის გარდაცვალების მოწმობების ნოტარიულად დამოწმებული ასლები ან სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი მშობლების გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;

ან დედის გარდაცვალების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი დედის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილი რითაც დასტურდება, რომ სტუდენტის დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება.

7. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

7.1. განცხადება;

7.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

7.3. განმცხადებლის და მისი და-ძმების დაბადების მოწმობების ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

8. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

8.1. განცხადება;

8.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

8.3. სამედიცინო ცნობის (ფორმა №IV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ სტუდენტი არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

9. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

9.1. განცხადება;

9.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

9.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

10. სტუდენტებმა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

10.1. განცხადება;

10.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

10.3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ პირი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ.

11. სტუდენტებმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

11.1. **განცხადება;**

11.2. **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;**

11.3. **ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ორიგინალი დოკუმენტი, რომელსაც განცხადების შემოტანის მომენტში აქვს მოქმედების ვადა)**

12. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები,

რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

12.1. განცხადება;

12.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

12.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

13. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

13.1. განცხადება;

13.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

13.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

14. სტუდენტებმა, რომლებიც არიან აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

14.1. განცხადება;

14.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

14.3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV-100/ა, არაუმეტეს 2 თვით ადრე გაცემული განცხადების წარმოდგენიდან), რომელშიც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, პირის ძირითად დიაგნოზად მითითებულია განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0; F84.1; F84.2; F84.3; F84.4; F84.5; F84.8; F84.9. და ასევე დიაგნოზის დასმისას გამოყენებულია შემდეგი ტესტები:

- **აუტიზმის შესაფასებელი ინსტრუმენტი (ADOS ან/და ADI-R);**
- **ინტელექტის შესაფასებებლი ინსტრუმენტი (WAIS-IV - Wechsler Adult Intelligence Scale, 4th edition ან/და WNV - Wechsler Nonverbal Scale of Ability ან ზრდასრულთა ინტელექტის შესაფასებელი ნებისმიერი საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტი);**
- **ადაპტური ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტი (მაგ., Vineland - 2, Vineland Adaptive Behavior Scales, II edition ან ABAS-3 - Adaptive Behavior Assessment System Third Edition)".**